აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 35

05 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 29-ე მუხლის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ანაზღაურებული იქნეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების პერიოდში, 2008 წლის 5 სექტემბრიდან სამი თვის განმავლობაში გაწეული არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ყოველთვიურად, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უსკო-ს აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია